პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 49.985/3
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ს. ს. რ. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის
ამხ. მ. ცხაკაიას სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

K 49.985
3

3

ექიმი ალექსი მინდაძე

აჭარისტანის ზღვის სანაპირო კურორტები

(შთაბეჭდილებანი, მიმოხილვა)

ტ ფ ი ლ ი ს ი – 1933

საქართველოს ს. ს. რ. კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის
ამხ. მ. ცხაკაიას სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

3

ექიმი ალექსი მინდაძე

აჭარისტანის ზღვის სანაპირო კურორტები

(შთაბეჭდილებანი, მიმოხილვა)

К49.985
3

ტფილისი — 1933

НАРОДНАЯ БИБЛИОТЕКА УКРАИНЫ
ВУНБ

Государственный Институт Курортологии и Физиотерапии ССР Грузии
им. М. ЦХАКАЯ

ეროვნული ბიბლიოთეკა

А. А. МИНДАДЗЕ

Приморские Курорты АДЖАРИСТАНА

1503-2000

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა.

მთავლიტი № 710. შეკვეთის № 1107. ტირაჟი 2.000.

61:91
ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარისტანის ზღვის სანაპირო კურორტები.

1931 წლის მარტის ბოლო რიცხვებში მოეწყო აკადემიური ხასიათის ექსკურსია აჭარისტანის და აფხაზეთის ზღვის სანაპირო კურორტების შესასწავლად. ექსკურსია შესდგებოდა ექიმ-სტუდენტებისაგან. აკადემიური ხელმძღვანელობა ფიზიატრიის და კურორტოლოგიის კათედრის ასისტენტებს დაეკისრათ, საინციატივო ბიურო თვით სტუდენტებისაგან გამოეყო.

ექსკურსიის მიზანი იყო: აჭარისტანის და აფხაზეთის კურორტების დათვალიერება, ადგილობრივ ნახვა მოწყობილ კლიმატიურ სადგურების, ბუნებრივ სიმშვენიერის და ადამიანის შეგუების ცდა—როგორ იყო უწინ და რა მიღწევები აქვს ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლებას—საკუთარი თვალით გვენახა ექსკურსიის საშუალებით. რადგან კურორტოლოგიის ინსტიტუტის დახმარებით ექსკურსიით მივდიოდით ზემო აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად, ამისათვის დავიკავეთ ჩვენთვის განკუთვნილი ორი რონოდა. აღტაცებას საზღვარი არა აქვს. 136 სტუდენტ-ექიმის გული ერთ მიზანს იტევს, ერთნაირი სასიამოვნო ემოციით არის დატვირთული და მოუთმენლად მოელის მატარებლის გამგზავრებას.

გარუჯული მანქანა ქშინავს, ვით დაჭრილი მოხუცი გლადიატორი, თითქოს ტფილისიდან' გაქანების დროს იგიც მოუთმენლად მოელის ისე, როგორც შეკაზმული ბედაური მხედრის შეჯდომას. ტფილისიდან გავედით ჩქარი მატარებლით 21 საათზე. ბათომამდე ექსკურსანტ სტუდენტებს სიმღერით, ცეკვათამაშით და ოხუნჯობით მატარებლით ჩვეულებრივ მოგზაურობაში ახალი სიცოცხლე შეაქვთ.

სადგურებს-სადგურები სცვლიან. ანთებული მტკვარი უკან დავტოვეთ, გავიარეთ ქართლის მიდამოები, გვირაბი, ზემო და ქვემო იმერეთი, გურიის ქვემო მხარე და დილით აჭარისტანის **სუბტროპიკულ** მიდამოებში შევიჭერით. ეს იყო გაზაფხულის დასაწყისში.

რკინის გზა შავი ზღვის პირათ მიდის, უცქერით ზღვას თვალუწვდენს და თითქოს უძიროს, საყვარელს და საშიშს, ნაპირებზე მღვრიეს და მღელვარეს, უფრო შორს ლურჯს, ცისფერს და შედარებით წყნარს.

დილის 10 საათზე ბათომში ვართ. რკინის გზამ ბინად მოგვცა ორი რონოდა, რომელიც მყუდრო ჩიხში აზიზიეს მოედანთან დააყენა.

ეხლა გავეცნოთ აჭარისტანის კურორტებს, რით არის იგი შესანიშნავი და რა გაკეთდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აჭარისტანის კურორტების კეთილ-მოსაწყობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლიმატიური პირობები აჭარისტანში

მთელი აჭარისტანი დაიყოფა მთიან და ვაკე ნიწილებად. მთიანი ნაწილები კლიმატოლოგიურათ ნაკლებ არის შესწავლილი, მასზედ დაახლოებით იმ მონაცემებით შეიძლება ვისარგებლოთ, რაც 7 წლის განმავლობაში ფურთიოს მეტეოროლოგიურ სადგურს გამოუკვლევია. აჭარისტანის ვაკე ზღვის პირა მიდამოები ამ მხრივ მეტად არის გამოკვლეული.

ბათომისათვის მეტეოროლოგიური დაკვირვების ხანგრძლივობა 30 წელს უდრის.

ფურთიოს მეტეოროლოგიური მონაცემები მიყვანილია ბათომის მეტეოროლოგიურ დაკვირვებასთან.

აჭარისტანის მთიან ადგილებში შეიძლება მოეწყოს წლიური კლიმატიური სადგურები, სადაც ზღვის და მთის ჰაერის წესიერი შეზავებაა და ამიტომაც მას მეტი სამკურნალო მნიშვნელობა აქვს.

საზოგადოთ აჭარისტანში არის თბილი და ნესტიანი ჰავა, მთიან ნაწილებში შედარებით მეტი სიგრილეა, ვიდრე ვაკე ზღვის პირა მიდამოებში. ამის დასტურს ბათომის და ფურთიოს მეტეოროლოგიური დაკვირვებანი გვაძლევს. თვით ფურთიო ბათომიდან დაშორებულია 60 კილომეტრით და მდებარეობს აჭარის წყლის ხეობაში ზღვის დონედან 650 მეტრის სიმაღლეზე დაახლოებით.

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა: ფურთიოში უდრის 11.0° ბათომში 14,5°.

წელიწადის დროთა მიხედვით ტემპერატურის საშუალო რაოდენობა არის:

ბათომისათვის		ფურთიოსათვის
7,5°	ზამთარში	2,4°
12,1°	გაზაფხულზე	10,5°
22,1°	ზაფხულში	19,60°
16,2°	შემოდგომაზე	12,7°

თუ ტემპერატურის მხრივ ბათომს შევადარებთ სოჭას და სოხუმს, მათ შორის დიდ საგრძნობ განსხვავებას არა აქვს ადგილი, რაც შეეხება ფურთიოს, აქ ყველაზე მეტი სიგრილეა.

ჰაერის ტემპერატურის საშუალო რაოდენობა წელიწადის დროთა მიხედვით და წელიწადში:

	ზამთარში	გაზაფხულზე	ზაფხულში	შემოდგომაზე	წელიწადში
ბათომი . . .	7,5°	12,1°	22,1°	16,2°	14,5°
სოხუმი . . .	7,1°	13,2°	22,6°	16,2°	14,8°
ს ო ჭ ა . .	6,9°	12,1°	21,9°	15,7°	14,2°
ფურთიო . .	2,4°	10,5°	19,6°	12,7°	11,0°

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათომის და მისი რაიონის მაქსიმალური ტემპერატურა 38-39°-ს ურდის, მინიმალური ტემპერატურა 12-14,0°-ს.

თვით ბათომში 30 წლის განმავლობაში მინიმალური ტემპერატურა—8,5° დაბლა არ დაცემულა.

ბათომში უფრო ხშირად ჰქრის 1) ჩრდილო დასავლეთ—დასავლეთის და 2) აღმოსავლეთ—ჩრდილო აღმოსავლეთის მიმართულების ქარი.

აქ მეტად გავრცელებულია დასავლეთის ქარები, რომელსაც ხშირად წვიმა მოყვება ხოლმე.

საშუალო წლიური ძალა ქარისა ერთ წუთში:

ბათომისათვის უდრის 1,5 მეტრს,

სოხუმისათვის უდრის 2,37 მეტრს,

სოჭასათვის უდრის 1.93 მეტრს.

იალტისათვის—1,12 მეტრს. ამგვარად ქარების მოძრაობა და ძალა ბათომში უფრო ნაკლებია, ვიდრე სოხუმში და სოჭაში. ამას გარდა ისეთი ქარი, რომლის სიძლიერე წუთში უდრის 10-25 მეტრს, ბათომისათვის შეადგენს ქარების საერთო რიცხვის 2%-ს.

ბათომში და მის რაიონებში, გაზაფხულზე და ზაფხულში დღისით ზღვიდან და საღამოს მთებიდან ჰქრის გრილი ნიავი, რომელიც ჰაერს სწმენდს, ამ-



ბათომი—ბულვარი

სუბუქებს ზაფხულის სიცხის გადატანას და ამას კი ადამიანის ჯანმრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ბათომი და მისი რაიონი გარშემორტყმულია მთებით, როგორიცაა არსიანის ქედი, შავშეთის ქედი, პონტოს ქედი და აჭარა-ახალციხის მთები. ბათომს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთით აკრავს ზღვა. ეს მხარე ბათომის ღია ფანჯარაა, საიდანაც ანაორთქლი, მიაღწევს რა აღნიშნულ სიმაღლეებს, ვერ გადაივლის მას და ბათომს და მის რაიონებს წვიმის სახით მოევლინება. წვიმების სიხშირე და ატმოსფერული ნალექების მაღალი მაჩვენებელი ბათომში სწორეთ ამით აიხსნება.

ნალექიან დღეთა რიცხვი წელიწადში ბათომისათვის 160 დღეა. ამაში თოვლიანი 12 დღე შედის.

ნალექიან დღეთა რიცხვი სოხუმისათვის 130 დღეა, ამაში თოვლიანი 10 დღე შედის.

წვიმების და თოვლიან დღეთა რიცხვი ბათომში მეტია, ვიდრე სოხუმში. ბათომში მოსული თოვლი მალე დნება, ნაწვიმარ წყალს ნიადაგი ისრუტავს, ზღვაში ჩადის, სწრაფად ორთქლდება და ამისათვის თვით ბათომში ტალახიც ნაკლები იცის. წვიმები ჰაერს აგრილებს, მას მექანიკურად სწმენდს და მასში ოზონის რაოდენობას ადიდებს.

საშუალო წლიური ბარომეტრიული წნევა ბათომში 761 მილიმეტრია. დაახლოებით ასეთივე ბარომეტრიული წნეევაა სოხუმში, ხოლო სოჩაში კი 762 მილიმეტრია.

ატმოსფერული ნალექის საშუალო წლიური რაოდენობა ბათომისათვის 2400 მმ-ია, სოხუმისათვის 1396. მნიშვნლოვანი კლიმატიური ფაქტორია ერთდროულად მოსული ნალექების რაოდენობა, რომელიც ბათომისათვის 260 მმ-ია, ხოლო სოხუმისათვის კი 150 მმ-ი.

როგორც სჩანს ბათომი ატმოსფერული ნალექებით მდიდარია, რაც მისი გეოგრაფიული მდებარეობით აიხსნება.

საშუალო წლიური შედარებითი სინესტე:

ბათომში უდრის 80%
სოხუმში „ 73%
სოჩაში „ 72%
იალტაში „ 66%

როგორც სჩანს ბათომში შედარებითი სინესტე მეტია სხვა შავი ზღვის სანაპირო კურორტებთან შედარებით. სინესტის ასეთი შედარებითი დიდი მაჩვენებელი ზღვის სიახლოვით, ჭაობების სიმრავლით და ხშირი წვიმებით აიხსნება. ჭაობების ამოშრობასთან დაკავშირებით შედარებითი სინესტე კლებულობს.

როგორც მეტეოროლოგიური მონაცემებიდან სჩანს აჭარისტანის ზღვის სანაპირო კურორტებზე ნესტიანი ჰავა არის, რომელიც ორგანიზმზე დამაწყნარებლად მოქმედობს. აქაური ჰაერი მდიდარია მარილებით, რითაც იგი სასუნთქავ ორგანოებს აღიზიანებს და ამოხველებას აადვილებს. მარილების შემცველი ჰაერი ნერვების პერიფერიულ დაბოლოვებაზე და მთელ ორგანიზმზე რეფლექტორულად მოქმედებს და მის სასიცოცხლო ტონუსს მაღლა სწევს. აქაური ჰაერის გავლენით სისხლის წითელი ბურთულები მრავლდებიან და ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის პროცესიც ძლიერდება.

აღსანიშნავია ზღვის პირას მზის სხივების მოქმედების სიძლიერე. მზის სხივების მოქმედება ეს ერთგვარი ბიძგია, იმპულსის მიმცემი საშუალებაა, რათა დაავადებულ ორგანიზმმა ავადმყოფობას მეტი სიძლიერით ებრძოლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის სპექტრის ყველა ნაწილები თავისებურ მოქმედებას იჩენენ,მაგრამ ულტრაიისფერი სხივები განსაკუთრებული თვისებებით ყველასაგან განირჩევიან; იგი კანში პიგმენტაციის გაძლიერებას და ძლიერი მოქმედებისას ერითემის წარმოშობას იწვევს. ულტრაიისფერი სხივები შველის ჰაერის იონიზაციას, რომელიც თავის მხრივ ორგანიზმზე ძლიერ კარგი მოქმედებისაა. აპარისტანის ზღვის სანაპირო კურორტები ულტრაიისფერი სხივებით მდიდარი მზის სპექტრითაა დაჯილდოვებული.

ბათომისათვის ნათელდღეთა რიცხვი წელიწადში 70-ია, ნახევრად ნათელი დღე-185, ხოლო ღრუბლიანი დღე-111.

ქვემოთ ჩვენ მოგვყავს მზის ნათურობის ხანგრძლივობის შედარებითი ცხრილი ბათომისა და სოხუმისათვის, რაც საათებში თვეების მიხედვით მზის ნათურობის ხანგრძლივობას გვიჩვენებს. იგივე ცხრილი გვიჩვენებს აგრეთვე მზით განათებულ საათების რიცხვსაც წელიწადში. სოხუმში მზე 216 საათით მეტს ანათებს ვიდრე ბათომში.

მზის ნათურობის ხანგრძლივობა საათებში:

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წელიწ.
ბათომი . .	91	117	134	164	188	213	201	189	183	174	128	93	1875
სოხუმი . . .	93	107	140	160	194	241	257	268	218	185	126	102	2091

მაგრამ თვით ბათომის მზის ნათურობით არ შეიძლება წარმოდგენა გვქონდეს ბათომის რაიონზე, რადგან ბათომის რაიონებში მოიძებნება ისეთი ადგილები, სადაც მზის ნათურობა გაცილებით მეტია ბათომისაზე. ასე მაგალითად: ფურთიოს მეტეოროლოგიური დაკვირვებით მაისიდან-სექტემბრამდე ფურთიოში მზის ნათურობა 70 საათით მეტია ვიდრე ბათომში.

ბათომში კარგი ზღვის საბანაოებია. აქ ზღვის წყლის ხვედრითი წონა 1013-ს უდრის. ბათომში ბანაობის სეზონში ზღვის წყლის ტემპერატურა ჰაერის ტემპერატურაზე უფრო მაღლა სდგას. ამას გარდა აქ ბანაობის სეზონში ზღვის წყლის საშუალო ტემპერატურა უფრო მაღალია, ვიდრე სოჭაში და იალტაში.

ზღვის წყლის საშუალო ტემპერატურა ბანაობის სეზონში

ბათომში (მაისი-ოქტომბერი) უდრის 22,8°.
სოჭაში (ივნისი-ოქტომბერი) „ 22,2°.
იალტაში (ივნისი-სექტემბერი) „ 20,0°.

ზღვის აბაზანების მოქმედება ორგანიზმზე შეიძლება სამ ნაწილად გაიყოს: 1) მექანიკური მოქმედება ტალღების, რომელითაც კანი სუფთავდება და ძლიერდება მისი ინსპირაცია, 2) ზღვის ტემპერატურის გავლენა ანუ თერმიული მოქმედება და 3) ქიმიური მოქმედება მარილებით, რომელიც გამაღიზიანებლათ მოქმედობს და პერიფერიისაკენ სისხლის მეტ მოსხმას იწვევს, რის გამოც სენთან ორგანიზმის საბრძოლო უნარი ძლიერდება.

ადამიანზე ზღვის გაშლილი ბუნება ფსიქიურად მოქმედობს, ამშვიდებს მას, სასიამოვნო გრძნობებს აღუძრავს და ცხოვრებისადმი სიყვარულს უძლიერებს.

ყველა ზემოთ ნათქვამი პირობები დიდ თერაპიულ ეფექტს იძლევიან.

აღნიშნული ბუნებრივი თავისებურების მიხედვით ბათომს, როგორც ზღვის კლიმატიურ სადგურს, საქართველოში და ამიერ კავკასიაში საპატიო ადგილი უჭირავს და ზოგ შემთხვევაში იალტასაც სჯობნის. აქაური ჰავის უარყოფითი მხარეა დიდი სინესტე, რაც ადგილების დაჭაობიანობას ხელს უწყობს და ამით მალარიის გავრცელებისათვის ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის.

დაავადებულთა შორის ერთი მესამედი მალარიას უჭირავს. მალარიით დაავადება ჩვეულებრივ ხშირია ზაფხულობით და შემოდგომით. უშუალოთ მალარიისაგან სიკვდილობა არც ისე ხშირია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ შრომის უნარიანობის დაქვეითებას და მალარიას შევხედავთ ისე, როგორც ორგანიზმის დამასუსტებელს, დამძაბუნებელს და ამრიგად ყოველგვარ დაავადების გავრცელებაში ხელის შემწყობ ფაქტორს, ცხადია მაშინ მალარია წარმოგვიდგება, როგორც დიდი სოციალური უბედურება, რომლის წინააღმდეგ შეგნებული ბრძოლაა საჭირო.

მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხის-ძირი და ძუბულეთი

ბათომის მახლობლად, ზღვის პირად, ჩრდილო აღმოსავლეთის მიმართულებით არის სამი შესანიშნავი ადგილი კლიმატიური პირობების და ბუნების სიმშვენიერის მხრივ. ესენია მახინჯაური, მწვანე კონცხი და ციხის-ძირი. ბათომიდან მახინჯაური 5 კილომეტრითაა და მწვანე კონცხი 7 კილომეტრითაა დაშორებული.



მახინჯაური—საერთო ხედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახინჯაურში და მწვანე კონცხზე უკეთესი კლიმატიური პირობებია, ვიდრე ბათომში. ამ ადგილებში ბათომთან შედარებით ზამთარი უფრო თბილია, ზაფხული კი გრილი. აქ ზღვის ჰაერი მთის ჰაერითაა შეზავებული. ქარების მოძრაობა უფრო მცირეა, დამდგარი წყალი თითქმის სრულიად არ მოიპოვება, რაც მათი გეოგრაფიული-მთაგორიანი მდებარეობით აიხსნება. მალარია მახინჯაურში და მწვანე კონცხზე ნაკლებათაა გავრცელებული. ამ მიდამოებში შეიძლება მოეწყოს ზღვის საბანაოები, რომლებიც მეტად კარგი ღირსების იქნებიან ვიდრე ბათომის ზღვის საბანაო, რადგან აქ ზღვა სუფთაა, მაზუთით, ნავთით და ქალაქის სხვა უსუფთაობით არაა გასვრილი.

მახინჯაური და მწვანე კონცხი წარმოადგენენ იმ ადგილებს, სადაც შეიძლება წლიური კლიმატიური სადგურები მოეწყოს, რადგანაც აქ წელიწადის ყოველი დრო კლიმიტიური თვისებებით დაავადებულთათვის სამკურნალოთ გამოდგება, როგორც გაჯანსაღების ბუნებრივი საშუალება, რომელსაც ვერც ერთი ფარმაკოლოგიური და ხელოვნური მკურნალობის მეთოდი ვერ შეედრება.



მახინჯაური—დასასვენებელი სახლი

ციხის-ძირი მდებარეობს ქობულეთსა და ჩაქვს შორის, ბათომიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. რკინის გზის ხაზით ბათომიდან დაშორებულია 18 კილომეტრით, ხოლო გზატკეცილით 25-კილომეტრით. კურორტი ციხის-ძირი მოთავსებულია ეგრეთწოდებულ ციხის-ძირის მაღლობებში, რომელიც იჭრება ზღვაში და ჰქმნის კონცხს—„ციხის-ძირის კონცხი". ციხის-ძირის კონცხს სამხრეთით ესაზღვრება სოფელი ბუკნარი და ჩრდილოეთით სოფელი ბაბაყვათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვაში შეკრილი კონცხი ზღვის პლიაჟს ორ ნაწილად ჰყოფს: სამხრეთის და ჩრდილოეთის პლიაჟად. სამხრეთის პლიაჟი საკმარისად დიდი სიფართოვისაა, ქვიშიანი, ძზის ნათურობა ხანგრძლივია, ხოლო თვით ზღვა ამ ნაპირებში ღრმაა და საბანაოთ გამოსადეკია უმთავრესად მოცურავეთათვის. სამხრეთის პლიაჟი სოლარიუმისათვის ძლიერ კარგია, რადგან ეს მიდამო შემოფარგლულია კლდეებით, ქარის მოძრაობა ნაკლებია, მზე უხვი, ნიადაგი ქვიშიანი. ჩრდილოეთის პლიაჟი უმთავრესად კონცხის მახლობლად სოლიარიუმისათვის ნაკლებ გამოსადეგია, ჩრდილოეთის პლიაჟის ნაპირებში ზღვა დაბალია და მასში ზღვის აბაზანების მიღება არამცურავებსაც შეუძლიათ.



ციხის ძირი—ზღვის ნაპირი

ციხის-ძირის მაღლობიდან დაწყებული ბათომიდან ფოთამდე მთელი ზღვა და ზღვის პირა მიდამოები სჩანს. მაღლობთა შუა არის ისეთი ვაკე ადგილები, სადაც შეიძლება სხვადასხვა სამკურნალო დაწესებულების მოწყობა. ციხის-ძირში მრავალია ყოფილი გენერლების აგარაკები, რომლებიც დღეს უკვე საბჭოთა მეურნეობებს ეკუთვნის; ციხის-ძირის კონცხი მდიდარია მრავალი სუბტროპიკული მცენარეებით, წიწვიანებით და სხვა. რკინის გზის ლიანდაგთან არის კარგი სასმელი წყაროს წყალი. ციხის-ძირის ელექტრონით განათება ჩაქვის ჰიდროელსადგურით სწარმოებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მწვანე კონცხი—დასასვენებელი სახლი

ციხის-ძირში არის ორი დასასვენებელი სახლი. ერთი ეკუთვნის ამიერ. კავკასიის პოლიტ-სამმართველოს და მეორე საქართველოს მეცნიერულ მუშაკებს. დასასვენებელ სახლში მოწყობილია ჩოგბურთის სათამაშო მოედანი, ფრენბურთის მოედანი, ბილიარდი, ტირი და სხვა. კურორტის საერთო შეხედულება დეკორატიულ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ციხის-ძირის ჰავა უფრო ნარევი ხასიათისაა-ზღვის და მთის, რითიც იგი ქობულეთს ჯობნის. ციხის-ძირში ზაფხულობით ჰაერი უფრო გრილია, ვიდრე მახინჯაურში, ზამთარში აქ ჰავა თბილი და სასიამოვნოა. თოვლი მის მახლობელ მიდამოებთან შედარებით მეტი იცის.

ციხის-ძირის მახლობელ სოფლებში მალარია საკმაოდ გავრცელებულია, თვით კურორტზე აგვისტოს და სექტემბრის თვეში ხანდახან მალარიის გამავრცელებელ კოღოებს—ანოფელესს შევხდებით.

ციხის-ძირში ავადმყოფები მთელი წლის განმავლობაში იგჭავნებიან, უმთავრესად მაისიდან ნოემბრის ბოლომდე. იგი განსაკუთრებით კარგია შემოდგომის თვეებში.

აჭარისტანის კურორტთა შორის განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ქობულეთი, რომლის კლიმატიური პირობები და სხვა ბუნებრივი თავისებურება დაახლოებით ისეთივეა, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ. დამოუკიდებელი კლიმატიური გამოკვლევა ქობულეთისათვის საბოლოოდ არ არის ჯერ კიდევ მოწოდებული და იძულებული ვართ მასზე ვიმსჯელოთ იმ მონაცემებით, რომელიც ბათომისათვის არის წარმოდგენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქობულეთის პლიაჟი

ბათომი და მისი მიდამოები ყოველთვის საზოგადოებრივ ინტერესს იწვევდენ. ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს შეეცადენ აჭარისტანის კურორტების კეთილმოწყობას, მაგრამ ამ მხრივ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ბევრი არაფერი გაკეთებულა.

ეხლა გზატკეცილი ქობულეთის სადგურიდან სანატორიუმამდე შეკეთებულია. კერძო აგარაკები ამჟამად თითქმის არ არის, იგი შეიყიდა აჭარისტანის ჯანმრთელობის კომისარიატმა, გაიხსნა ბაღი პივილიონით, სამკითხველოთი, ესტრადით და სხვა. სააგარაკო რაიონებში გაიხსნა კოოპერატიული მაღაზიები. ქობულეთის სანატორიუმი კაპიტალურად შეკეთდა, სადაც ეხლა 100 საწოლია. ქობულეთში არის საკუთარი ელსადგური, ამბულატორია ყველა სპეციალისტ-ექიმებით, სამალარიო სადგური, მოწყობილია ზღვის საბანაოები, როგორც ცივი, ისე თბილი და მრავალი სხვა, რომელიც საკმაოდ უზრუნველყოფს ქობულეთს, როგორც კურორტს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქობულეთს არა აქვს კანალიზაცია და უმთავრესად არის ანტი-სანიტარული პირობები, რაც მის ღირსებას დაბლა სწევს.

ქობულეთი და მწვანე კონცხი პირველ ხარისხოვანი კლიმატიური სადგურების სახელითაა ცნობილი. ყოველწლიურად ქობულეთში კავშირის სხვადასხვა მხარედან დასასვენებლად და სამკურნალოდ ბავშვთა კოლონიები იგზავნება.

ამ ბოლო დროს აჭარისტანი შეიქნა საბჭოთა კავშირის ექსკურსიის საყვარელი მხარე. ასე მაგალითად: 1930 წელს აჭარისტანში ექსკურსიაზე იყო 50000 კაცი, რაც აჭარისტანის მდიდარ ბუნებას და მის წარმტაც სიმშვენიერეს ამტკიცებს.



ქობულეთი—დასასვენებელი სახლი

როგორი ავადმყოფები უნდა გაიგზავნონ აჭარისტანის კურორტებზე

ფილტვების ტუბერკულოზიანები აჭარისტანის ზღვის სანაპირო კურორტებზე გაიგზავნებიან სექტემბრიდან-მაისის ბოლო რიცხვებამდე, ხოლო აჭარისტანის ზღვის სანაპირო მთიან ნაწილებში (მახინჯაური, მწვანე კონცხი და ციხის ძირი) წელიწადის ყოველ დროს, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ ეს ადგილები წესიერად მოწყობილი არაა გარდა ციხის-ძირისა.

აჭარისტანის კურორტებზე გაიგზავნება შემდეგი ფილტვების დაავადებანი: ფილტვების ტუბერკულოზი და პლევრიტებით გართულებული ფილტვების ტუბერკულოზი, სასუნთქი გზების კატარით—ეს იქნება სპეციფიური ტუბერკულოზური თუ არა სპეციფიური კატარი, გულის გაფართოებით და მისი აჩქარებით.

ფილტვების არა ტუბერკულოზური დაავადებანი: პნევმონიის გადატანის შემდეგ, ბრონხიტით, გახანგრძლივებული პნევმონია, მშრალი და ექსუდატიური პლევრიტი, თუ ეს უკანასკნელი ჩირქოვანი ხასიათის არაა, რომელიც ჯერ ქირურგიულ მკურნალობას მოითხოვს და ლარინგიტი. თუ ასეთი ავადმყოფები წესიერ კურორტოლოგიურ მკურნალობას ჩაატარებენ, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მიიღებენ.

ფილტვების აბსცესი, ბრონხოექტაზია, აქტინომიკოზი, სტრეპტოტრიხოზი და სიფილისი საპირო მკურნალობის ჩატარების შემდეგ.

ემფიზემატიკები აჭარისტანის კურორტებზე მკურნალობით მნიშვნელოვან გაუმჯობესებას აღწევენ. ასევე ითქმის ბრონხიალურ ასტმის ისეთ ფორმებზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ზემო სასუნთქი გზების დაავადებით ან ბრონხიალური ჯირკვლების გადიდებითაა გამოწვეული.

აჭარისტანის კურორტებზე გაიგზავნება ხორხის ტუბერკულოზიანები, თუ პროცესი მეტათ შორს არაა წასული.

შავი ზღვის სანაპირო აჭარისტანის კურორტებზე მეტი სიფრთხილით უნდა გაიგზავნონ ფილტვების ექსუდატიური ხასიათის სწრაფად მავალი ტუბერკულოზი, რომელსაც ახლავს ღრმა პათოლოგიური ცვლილებები-კავერნები, ბრონხოექტაზიები და სხვა. როდესაც არის გექტიური ტემპერატურა, ტოქსემია და სხვა, ან თუ ფილტვების ტუბერკულოზი ნაწლავების ტუბერკულოზით არის გართულებული.

ზაფხულში და შემოდგომაზე ბათომში და მის ახლო მდებარე ადგილებში (მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხის-ძირი, ქობულეთი და სხვა) გაიგზავნება ძვალ-სახსართა ტუბერკულოზის ყველა ფორმები, თუ პროცესი სწრაფად არ ვითარდება, მძლავრი დაჩირქება და კახექსია არ არის და გექტიური ტემპერატურა არ ახლავს.

აჭარისტანის კურორტებზე გაიგზავნება ლიმფური ჯირკვლების და კანის ტუბერკულოზიანები, რომლებმაც მზის სხივებით უხვად უნდა ისარგებლონ.

აჭარისტანის ზღვის სანაპირო ჰავა საყმაწვილოზე (სურავანდი), რახიტზე, ნევრასტენიულ მდგომარეობაზე და ისტერიის მსუბუქ ფორმებზე ძლიერ კარგათ მოქმედობს.

ბათომში და მის მიდამოებში (მახინჯაური, მწვანე კონცხი, ციხის-ძირი ქობულეთი და სხვა) გულით დაავადებულნი (გულის დაავადება, როგორც ორგანიული, ისე ფუნქციონალური ხასიათის), თუ კურორტის წესიერ მკურნალო-

ბოთანიკური ბაღი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას ჩაატარებენ, ფარმაკოლოგიურ საშუალებებს აქვე იხმარენ, კარგს ბინებში მოთავსდებიან, წესიერად, მშვიდათ იცხოვრებენ, უეჭველად დიდ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მიიღებენ.

ზღვის პირას რა თქმა უნდა არც ერთი მწვავე და სწრაფად მავალი გულის დაავადებანი არ გაიგზავნება.

ბ ა თ ო მ ი

ქუჩები არის ფართო და სწორი, მათი უმრავლესობა იწყება სადგურიდან და მიდის ზღვის პირამდე. იგი არის სუფთა, შემორგული ია ალმებით და სხვა დეკორატიულ-ტროპიკულ მცენარეებით. სახლები ლამაზი ბაღებათ მორთული ეზოებით გარშემორტყმული. ქალაქს ემჩნევა, რომ წინასწარი გეგმით არის აშენებული.

აუცილებელი საჭიროა შევეხოთ აჭარისტანის ფიზიოთერაპიულ ინსტიტუტს, რომელიც დაარსებულია 1930 წელში. 1931 წლის გაზაფხულზე იგი ალმშენებლობის პერიოდში იყო.

ბათომის ფიზიოთერაპიულ ინსტიტუტს ორ სართულიანი ლამაზი შენობა უჭირავს, პატარა დეკორატიული ბაღით. პირველ სართულში სწარმოებს ფიზიკური მეთოდებით მკურნალობა, რისთვისაც აქ წარმოდგენილია ასეთი მკურნალობისათვის საჭირო მთავარი და უფრო მნიშვნელოვანი მოწყობილობა. ამჟამად მეორე სართულში 25 საწოლია სტაციონარი მკურნალობისათვის, იმ წესით, როგორც ტფილისის კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტშია სტაციონარი მოწყობილი. ინსტიტუტის ეზოში ნახშირმჟავა აბაზანებისათვის ცალკე შენობაა.

ფიზიკური მეთოდებით მკურნალობის მიზანია დაავადებულ ორგანიზმში სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ელემენტები შეიყვანოს, ამით სხეულის ფარული ენერგია აქტიურ სახეში გადაიყვანოს და მისცეს იმპულსი ავადმყოფ ორგანიზმს თავისი საკუთარი ძალებით მოიპოვოს ჯანმრთელობა. მკურნალობის ასეთი წესი არსებობდა ჯერ კიდევ ძველად ჰიპოკრატეს მოღვაწეობის დროსაც, რომელსაც ცხადია მეტად პრიმიტიული სახე ჰქონდა. ეხლა მას ტეხნიკა დაეუფლა, ახალმა სამკურნალო მეცნიერებამ თავისი ინტელექტუალური მუშაობის ობიექტად ფიზიკური მეთოდებით და საზოგადოდ ბუნებრივი საშუალებებით მკურნალობის წესი აირჩია.

ბუნებრივი საშუალებებით მკურნალობის სახე—აჭარისტანის კურორტებია, მკურნალობის ფიზიკური წესი ფიზიოთერაპიულ ინსტიტუტში სწარმოებს.

ბ ა ღ ი

ეს ბაღი ზღვის პირასაა გაშენებული, იქვე შემოჭრილია ზღვის ერთი ნაწილი, სადაც წყალი ტბასავით სდგას და მასში ხშირად თევზაობენ.

ბაღში გასავლელი გზები მოფენილია ზღვის ხრეშით. ბაღი უმთავრესად დეკორატიულია, მდიდარი მრავალი ტროპიკული მცენარეებით. ყოველ მცენა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს აწერია ლათინურათ სახელწოდება და ოჯახი, ქართულად სახელწოდება და სამშობლო. ბაღში არის სათბური მრავალი ნერგებითა და ყვავილებით. მას აგრონომის გამოცდილი ხელმძღვანელობა ეშჩნევა.

ტროპიკული მცენარეთა შორის მრავალია ისეთი, რომელსაც სამკურნალო მნიშვნელობა აქვს,—მაგალითად: ეუკალიპტეს ხე, რომელიც საკმაოდ დიდი ტანისაა, მისი სამშობლო ავსტრალია და ახალი ზელანდიაა, იზრდება ჭაობიან ადგილებში, წყლის დიდ რაოდენობას ისრუტავს, ნიადაგს აშრობს, ჰაერს აოზონებს, კოღოები მის სუნს ვერ იტანენ. თუ ეუკალიპტეს ფოთლებისაგან გამონაწვლილ ზეთს ხელებზე და პირისახეზე წაისვამენ, მაშინ ასეთი ადამიანი კოღოებისაგან დაზღვეულია.

მედიცინაში იხმარება ეუკალიპტეს ფოთლები, რომელიც შეიცავს ეთეროვან ზეთს. ეიკალიპტინს ანტისეპტიური თვისება აქვს, იხმარება გარეთ ჭრილობებზე მალამოს სახით ან შესახვევ მასალის გასაჟღენთად. იხმარება მისი ერთი-ხუთ პროცენტიანი ხსნარი სპირტში საავადმყოფოთა დეზინფექციისათვის, შიგნით ხმარებულია მალარიის საწინააღმდეგოდ ნაყენის სახით, მაგრამ ამ მხრივ იგი სუსტი მოქმედებისაა. საფრანგეთში მისგან ამზადებენ ერთგვარ აბებს, რომელიც ტკბილი გემოსია და სადეზინფექციოდ ღებულობენ. ამას გარდა ეუკალიპტეს ხე ძლიერ გამძლეა. ეხლა არის დაყენებული ცდა იმის შესახებ შეძლებათ ეუკალიპტეს ხე მეტს გაძლებს თუ მუხა.

როგორც სჩანს მისი შოშენება და გავრცელება აჭარისტანის მალარიან ადგილებში სავსებით მისაღებია, რასაც დაუფასებელი სიკეთის მოტანა შეუძლია.

ბათომის ბულვარი

ბათომის ბულვარი ზღვის პირათაა გაშენებული, მას საკმაო დიდი სივრცე უჭირავს და მშვენივრად არის მოწყობილი. იგი საბჭოთა კავშირში ერთ საუკეთესო ბულვარად ითვლება.

ბათომი ტურიზმის საუკეთესო მხარეა, გზებით გარშემორტყმული, იგი სამრეწველო ქალაქიცაა.

ბათომის დათვალიერება მოგზაურზე წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს. ბათომი ჭეშმარიტად საქართველოს ტროპიკული ქალაქია.

ბათუმიდან ჩაქვამდე და დაბრუნება უკან მწვანე კონცხზე და მახინჯაურში გამოვლით

ბათომიდან ჩაქვის მიმართულებით მატარებლით დილის 8 საათზე გავედით ჩვენი თვალები ფანჯრებიდან ლამაზათ მოკმაზმულ ბუნებას გაჰყურებს.

პალმები, ლერწამი, სანერგეები და სხვა მრავალი ჩვენს თვალწინ გარბიან. აგერ მწვანედ მორთული გორა წარწერით „მწვანე კონცხი“. ბაქანი მატარებლის მაღლა სდგას, თითქოს წარმტაცი სილამაზე ბუნებას განზრახ მაღლა აუწევია ჩვეულებრივიდან განსასხვავებლად, თითქოს ადამიანიც სპეტაკი და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლამაზი უნდა იყო, რომ შეწვდე მწვანე კონცხის სიმშვენიერეს, მის ამწვანებულ გორებს, ბილიკები, რომ სერავს და გარს სარტყელივით ევლება. მწვანე კონცხი დეკორატიულად არის მორთული ნაძვებით, ფიჭვებით და ტროპიკულ მცენარეთა ისეთი ესთეტიური კომბინაციით, რომ თვალები მრავალ-ფეროვნებაში იკარგებიან, გონება მის გარშემო ერთწერტილიანდება, ხოლო დანარჩენი გარემო თითქმის სრულიად უყურადღებოდ რჩება.

ეს იყო რამოდენიმე წუთს.

უკვე სიბნელეა, გვირაბში ვართ, რომელიც მწვანე კონცხის ფუძეს პირდაპირი მიმართულებით სჭრის, მატარებლის თვითეული ბორბლის გადატრიალება უფრო მკაფიოდ ისმის, ორთქმავალის მძიმე სულისთქმა გულის მგრძნობიარე სიმებს არხევს და მასთან თითქოს საშიშროების ამბავი მიაქვს, რომ—მიწის გულში ვართ და ბუნების სტიქიას შეუძლია გვიმსხვერპლოს, სამუდამოთ ჩაგვყლაპოსო.

მაგრამ ამაოდ, ადამიანის ტეხნიკა სძლევს ყველაფერს. ვეებერთელა გორის სიმძიმეს გვირაბი უძლებს. ისევ სინათლე და კვლავ ბუნების სხვადასხვაობა გადაშლილი ჩაის პლანტაციების მიმატებით.

ეს ჩაქვის მიდამოებია.

დღის წესრიგი პირველად ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის დათვალიერება გახლავთ. გადმოვედით ჩაქვის სადგურზე, გაუდექით გზას ჩაქვის დამამზადებელ ქარხნისაკენ.

სანერგეები, საცდელი მინდორი, თვალეწვდენი ჩაის პლანტაციები. გზა პალმებით არის შემორგული, ალაგ-ალაგ ნაძვებით და ფიჭვებით. ვაკე ადგილებს მომაღლო გორაკები დარაჯათ უდგას. მოსჩანს ნახევარმთვარისებრივი გორა, რომელსაც ნაძვების წესიერი გვირგვინი გამოხატავს.

გადავიარეთ მდინარე ჩაქვის წყალი. ცოტა მოშორებით მარცხენა მხარეს ნაძვებში და ბალში პატარა ერთსართულიანი ლურჯი შენობაა, რომელსაც აწერია „ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ამბულატორია-საავადმყოფო“.

შემაღლებულ ადგილას ჩაის ქარხანაა. ახალი შენობა, საკმაოდ დიდი, ორსართულიანი. ჩვენც ამ ქარხანას ვეწვიეთ. სპეციალისტი აგრონომი ქარხნის საქმიანობაზე, ჩაის ბუჩქის მოშენებაზე და მის თვისებებზე გვესაუბრება.

ცეილონში ჩაი მთელი წლის განმავლობაში იკრიფება და იქ ჩაის ქარხანაც განუწყვეტლივ მუშაობს. აქ კი ჩაის ბუჩქი ახალ-ახალ ყლორტებს ისვრის მაისის თვიდან ზაფხულის ბოლომდე. ქარხანაც თავის მუშაობას ამ ხნის განმავლობაში აწარმოებს.

გავეცანით ქარხნის ყველა ცეხებს, როგორიცაა ფოთლების საჭკნობი ცეხი, საგრეხი, საფერმენტაციო და დამახარისხებელი ცეხი. თითოეულ მათგანის დანიშნულებას და მუშაობის შინაარსს გულდასმით ვეცნობით.

ეს ქარხანა მხოლოდ ჩაის ამზადებს და შემდეგ კი ცეკავშირს გადასცემს და უკანასკნელი უკვე ბაზარზე ანაწილებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩაის ბუჩქების მანქანით მოკრეფის ცდები დაუყენებიათ, მაგრამ ამ წესით ვერ მიუღიათ ჩაის კარგი ხარისხი, რადგან ჩაის ცალ-ცალკე ბუჩქი ან ბუჩქის ესა თუ ის ნაწილი ყლორტებს ერთსა და იმავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს არ ისვრის, ხოლო მანქანა კი ყოველ ბუჩქს სისწორით ერთნაირად კრეჭავს. უკეთესი ხარისხისათვის ხელით მოკრეფილი ჯობს.

ჩაის დამზადებისას დარჩენილ ნარჩენებიდან, რომელიც ღეროებისა და ძველ ფოთლებისაგან შესდგება, აგურის ჩაის ამზადებენ. აგურის ჩაი დაბალი ხარისხისაა, მაგრამ მომხმარებელი მასაც ჰყავს, როგორიცაა ციმბირის მხარეში მობინადრე კირგიზები და სხვა. ამ ქარხანაში ზამთრობით სწარმოებს ნარჩენების სათანადო გადარჩევა და გაგზავნა ჩაის ძველ ქარხანაში, სადაც აგურის ჩაის ამზადებენ.

ქარხნის მუშათა შორის გავრცელებულ პროფესიონალურ გულის დაავადებას 1930 წელს იკვლევდა პროფესორი მახვილაძე, რომლის შედეგები ჯერ არ არის გამოქვეყნებული. ისე კი ქარხნის მუშათა საერთო კრებაზე პროფ. მახვილაძეს აღუნიშნავს, რომ—ქარხნის მუშათა შორის პროფესიონალური გულის დაავადება არაა მაინცადა-მაინც გავრცელებულიო. ეს უთუოდ იმიტომ, რომ ჩაის ქარხანა 1930 წელში დაარსდა, მას ერთი წლის მუშაობის ისტორია ჰქონდა. ძველი ქარხანა კი, სადაც ეხლა აგურის ჩაის ამზადებენ, დაარსებულია, 1898 წელში, იქ პროფესიონალური დაავადება გამოკვლეული არაა.

ახალი ჩაის ქარხანა უმთავრესად ზაფხულობით მუშაობს, ზამთრობით კი მუშაობა უფრო მცირეა, რადგან ამ დროს მხოლოდ აგურის ჩაის დასაწნეხ მასალას ამზადებენ.

მუშაობის დროს ცეხებში ისინჯება ტემპერატურა, წნევა, სინესტე და სხვა. აქვე მოწყობილია ვენტილიატორები. ცეხების განათება დამაკმაყოფილებელია.

აჭარისტანში ისე, როგორც საერთოდ დასავლეთ საქართველოში, მიწის სივიწროვეა, აქ მოიპოვება მრავალი ისეთი ადგილები—ქედების ფერდობები და ეწრები, რომლებიც სიმინდის, ღომის და სხვა ასეთების მოსაყვანად ნაკლებ გამოსადეგია, რადგანაც მათი დათესვა ისედაც უვარგის მიწას თანდათან ფიტავს და მოსავალი ყოველ წლით კლებულობს, რისთვისაც მიწაც დროგამოშვებით დასვენებას საჭიროებს.

ასეთი ქედების ფერდობებზე და ეწრებზე სხვა ტროპიკულ კულტურათა შორის ჩაის ბუჩქი კარგათ ხარობს. ჩაის ბუჩქი წესიერ მოვლისა და დანოყიერების პირობებში მიწას უფრო ამდიდრებს და რაც დროთ გადის მოსავალიც მატულობს. ამას გარდა სიმინდის, ღომის და სხვა ასეთების დათესვა ჰექტარ მიწაზე წელიწადში მაქსიმუმ შემოსავალს 300-350 მანეთს იძლევა, მაშინ, როდესაც ჩაის ბუჩქი ჰექტარ მიწაზე წლიურად 900 მანეთამდე შემოსავალს იძლევა.

აქედან სოფლის მეურნეობაში ჩაის კულტურის უპირატესობა ცხადათ სჩანს, მას სიღარიბის აღმოსაფხვრელად და საზოგადო სიმდიდრისა და დოვლათიანობის შესაქმნელად დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია.

ჩაქვის მიდამოებში ჩაის გავრცელების საქმეს ყურადღება ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს მე-19 საუკუნეში მთავრობისა და კაპიტალისტ პოპოვის მიერ მიექცა. მათი ჩაის მეურნეობა კუს ნაბიჯით მიდიოდა წინ, რადგანაც მათ ჩინეთში ჩაის საშოვნელად და ფულების მოსაგებად მეტი ხელსაყრელი პირობები ნახეს, ვიდრე ჩაქვში.

საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაის პლანტაციის გავრცელებას და მის შესაფერ დამუშავებას დასავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით აჭარისტანში ჯერო ვანი ყურადღება მიაქცია.

ჩაქვის ჩაი ხარისხით დასავლეთ საქართველოს სხვა მიდამოებში მოსულ ჩაის ჯობნის და კიდევ მეტი, იგი იაპონიისა და ცეილონის ჩაის ხარისხებსაც არ ჩამოუვარდება.

საბჭოთა კავშირის ბაზარზე ჩაის მოთხოვნილება ისევ ჩვენმა მეურნეობამ უნდა დაკმაყოფილოს. ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ჩაქვის საბჭოთა მეურნეობას საპატიო ადგილი უჭირავს. აჭარისტანის მომავალ პერსპექტივებმა ჩაის მეურნეობის დარგში კიდევ დოვლათიანობა და საზოგადო სიმდიდრე უნდა შეჰქმნას, რაც მრავალ აღმშენებლობის გარდა აჭარისტანის კურორტების კეთილმოწყობას უნდა მოხმარდეს.

ჩაის ქარხნის დათვალიერების შემდეგ წავედით ბოთანიკურ ბაღისაკენ. ჩაისა და ლერწამის პლანტაციების გარდა ნარინჯის საკმაო დიდ პლანტაციებში გავიარეთ.

ბოტანიკური ბაღი

მწვანე კონცხზე გაშენებულია ბოთანიკური ბაღი სივრცით 120 ჰექტარი, მდიდარი ყოველგვარი მცენარეულობით: „მწვანე კონცხი ევროპაში ერთადერთი ადგილია, სადაც შესაძლოა იხაროს მსოფლიო ფლორის წარმომადგენელთა დიდ რაოდენობამ"—ამბობს ექ. გოროდინსკი („კავკასიის შავი ზღვის ნაპირები" გვ. 117).

ბოთანიკურ ბაღის დათვარიელებისას იაპონური განყოფილების ერთი კუთხე სამინიატურო ობიექტად ავირჩიეთ, რომ დაგვრჩეს სურათი, როგორც სიმბოლო სტუდენტური ექსკურსიის.

ქიმიური კვლევითი ლაბორატორიიდან მოკლე ცნობები ბოთანიკური ბაღის შესახებ მოგვაწოდა აგრონომ კაკაბაძემ.—ბოთანიკური ბაღი დაარსებულია 1912 წელს, დამაარსებელი გახლავთ პროფ. კრასნოვი, რომელმაც ბოთანიკურ ბაღში ორი წელი იმუშავა. ძის ამ დიდი საქმის საბოლოოდ დაგვირგვინება არ დასცალდა, „ისპანკით" 1914 წ. ტფილისში გარდაიცვალა.

პროფესორ კრასნოვის მიზანი იყო ბოთანიკურ ბაღში გაეშენებია ყოველი მხრიდან მოტანილი კულტურები, რისთვისაც მან დააარსა სხვადასხვა განყოფილებები: ავსტრალიის, ამერიკის, ჩინეთის, იაპონიის და სხვა. თითოეულ მათგანში დაიწყო თითო ოჯახის მოშენება და ამგვარათ ამ დიდ საქმეს მეცნიერული საფუძველი ჩაეყარა.

კრასნოვის გარდაცვალების შემდეგ ბოთანიკური ბაღი უყურადღებოდ დარჩა, მხოლოდ 1925 წელში მას ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს; აქ გაიხსნა საცდელი მინდორი და ქიმიური კვლევითი ლაბორატორია, რომლებიც შეთანხმებული მუშაობით ემსახურებიან ერთ მიზანს—ბოთანიკური ბაღის გამშვენიერებას და აგრეთვე აჭარისტანის მიდამოებში საჭირო ტროპიკულ მცენარეთა გაშენებას, რაც აქაურ მცხოვრებთა ბუნებრივ სისაღის საფუძველს და აგრეთვე ეკონომიურ დოვლათიანობას შეჰქმნის.

საცდელი სადგური აყენებს ცდებს სხვადასხვა მცენარეთა მოშენების მიზნით. კულტურულ დამუშავებულ მცენარის ქიმიურ-ტეხნოლოგიურ გამოკვლევას ქიმიური ლაბორატორია აწარმოებს; აქ აწარმოებენ ნიადაგის, ნაყოფების, ყვავილების და სხვა ანალიზებს. მათ ზეთიანობის, შაქრიანობის და სხვათა პროცენტებს იკვლევენ.

ბოთანიკურ ბაღში დაყენებულია ცდები გერანის ხის მოსაშენებლად. გერანის ხე იძლევა უმაღლეს ხარისხის ეთეროვან ზეთებს, რომელიც ძლიერ ძვირს ფასობს. აქ მიუღიათ ეუკალიპტეს ხის ნერგების დიდი რაოდენობა საზღვარგარეთიდან და ცდილობენ ეუკალიპტეს გავრცელებას აჭარისტანის მალარიან ადგილებში. ამას გარდა ბოთანიკური ბაღი აშენებს ტუნგოს ხეს, რომლის თესლი ზეთის 65%-ს შეიცავს. ეს ზეთი ხმარებულია როგორც საღებავი, განსაკუთრებით გემებისათვის.

ბოთანიკურ ბაღში აშენებენ მრავალ დეკორატიულ, ტროპიკულ სასარგებლო მცენარეებს რომლის ძირეული შესწავლა ღრმა აგრონომიულ ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს.

ბოთანიკურ ბაღიდან გამოვიარეთ მწვანე კონცხის ბაქანი, დავათვალიერეთ მახინჯაურის რკინის გზის მახლობელი ნაწილი და ისევ მატარებლით გავემგზავრეთ ბათომში დღის 5 საათზე.

იმავე, დღეს ღამის 12 საათზე გემით „ნოვოროსიისკი"-თ სოხუმისაკენ გავსცურეთ.

წინასწარი შიში და სიფრთხილე გამართლდა. ზღვა იყო ცუდი, გემიც ასეთივე, ექსკურსანტთა უმრავლესობა ზღვაში პირველად მოგზაურობდა და ამგვარ მგზავრობამ თავისი გაიტანა,—უმრავლესობა ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იყო, მცირე ნაწილი კი კოჩაღად გადაურჩა.

ეს გაჭირვება სოხუმის და მის მიდამოების დათვალიერებამ დაფარა.

ФУНЗЕ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

1. Сборник трудов доктора Т. П. Триантафиллидеса, издание Общества врачей гор. БАТУМА, 1910 г., гор. БАТУМ.

2. Д-р Городинский „ЧЕРНОМОРСКОЕ ПОБЕРЕЖЬЕ КАВКАЗА", издательство НАРКОМЗДРАВА РСФСР.

3. „ПОКАЗАНИЯ И ПРОТИВПОКАЗАНИЯ К КУРОРТНОМУ ЛЕЧЕНИЮ", Под редакцией Н. М. Кишкина. МОСКВА 1926 год.

4. Сергей Анисимов „АБХАЗСКИЕ АЛЬПЫ ГАГРЫ-СУХУМ-БАТУМ, БАТУМСКОЕ ПОБЕРЕЖЬЕ". Гос. Издат. МОСКВА-ЛЕНИНГРАД 1930 года.

5. Академик Кравков „ОСНОВЫ ФОРМАКОЛОГИИ".

6. Метеоролог Г. Чиракадзе „СОЛНЕЧНОЕ СИЯНИЕ В КУРОРТНЫХ МЕСТАХ С. С. Р. ГРУЗИИ." „Вестник Наркомздрава" № 3—6 1929 года, гор. Тифлис.

7. ექ. ა. თუმანიშვილი„—აჭარისტანის კურორტების მნიშვნელობა", გაზ. „ფუხარა" № 50 1929 წ. 3 მარტი.

8. ტფილისის კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სახელმწიფო ინსტიტუტის მასალები.

ЗУНБ

124/441

ფასი 2 მან.

242/1934

1138

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი ი. ასლანიშვილი